# ფოთის ახალგაზრდული ალიანსი

# თემატიკა

იძულებით გადაადგილებულ პირთა აქტივობის ზრდა არჩევნებში

# პროექტის მიზანი:

- 2017 წლის 21 ოქტომბრის თვითმართველობის არჩევნებისათვის ფოთის და ბათუმის დევნილთა კომპაქტური დასახლებების, იძულებით გადაადგილებულ პირების აქტივობისა და ინფორმირებულობის  გაზრდა. მათში საარჩევნო ცნობიერების ამაღლება, საარჩევნო კოდექსში განხორციელებული სიახლეების გაცნობა.

# სამიზნე ჯგუფი

- პროექტის ფარგლებში ჩვენ მოვამზადეთ (დავატრენინგეთ) აღნიშნული დასახლებებიდან შერჩეული ახალგაზრდები: 6 მონაწილე ბათუმიდან, 10 მონაწილე ფოთიდან და 6 მონაწილე გასული წლის პროექტიდან. აღნიშნული ტრენინგები ჩატარდა ბაკურიანში, სასტუმრო "მელისი".
- სატრენინგო მასალა დავამუშავეთ ტრენერებთან ერთად. ასევე, განვსაზღვრეთ ტრენინგის დეტალური გრაფიკი და თემატიკა.

# ტრენინგი



# ტრენინგი



# ტრენინგი



ტრენინგი შედგებოდა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული, ჯგუფური სამუშაოებისაგან. იყო ასევე თემატური სავარჯიშოები და კენჭისყრის დღის პროცედურების იმიტირება. მონაწილეებმა დეტალურად ისწავლეს საჩივრისა და შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესი.

# ვიზუალური მასალა

- ტრენერებთან ერთად  შეიქმნა ბროშურა სატრენინგო მასალისგან. ასევე შეიქმნა ფლაერი რომელიც შემდგომში დავარიგეთ შეხვედრებზე იძულებით გადაადგილებულ პირების კომპაქტურ დასახლებებში.
- ტრენინგის მონაწილეებს გადავეცით სერთიფიკატები, ბროშურები სატრენინგო მასალით. ასევე, ფოთის ახალგაზრდული ალიანსის, ცესკო-სა და სწავლების ცენტრის ლოგოტიპებით დატანილი ჭიქები.

5. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია მონაცემები კანდიდატების შესახებ, ამომრჩეველი მონიშნავს არა უმეტეს 1 კანდიდატის რიგით ნომერს.






ცესკო

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

## რისი გადაწყვეტა შეუძლია ერთ ხმას?

არჩევნების მსოფლიო ისტორიაში არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთი ხმაც კი გადამწყვეტი აღმოჩნდა. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს.




- ერთმა ხმამ ოლივერ კრომველს ინგლისის კონტროლი მოუტანა.
- ერთი ხმა ინგლისის მეფე ჩარლზ I-ს სიკვდილით დასჯად დაუჯდა.
- ერთი ხმის წყალობით ამერიკაში გერმანული ენის ნაცვლად ინგლისური დამკვიდრდა.
- ერთმა ხმამ გადაწყვიტა მასაჩუსეტსის გუბერნატორად მარკუს მორტონის არჩევა. ერთმა ხმამ გადაწყვიტა ტეხასის შტატების შემადგენლობაში შესვლა.
- ერთი ხმით გახდა რეზერფორდ ჰეისი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.
- ერთმა ხმამ გადაწყვიტა საფრანგეთში მონარქიული წყობის რესპუბლიკურით შეცვლა.
- ერთი ხმის წყალობით მოიპოვა ადოლფ ჰიტლერმა ნაცისტურ პარტიაზე კონტროლი.
- ერთი ხმით მოუგო ირაკლი ბათიაშვილმა ირაკლი მაჭავარიანს ყვარლის მაჟორიტარული არჩევნები.
- ერთმა ხმამ გადაწყვიტა ვერმონტის შტატში წარმომადგენლად სიდნეა ნიქსონის არჩევა (570 ხმით 569-ს წინააღმდეგ), რომლის ბოსტონიდან გადმოსვლამდე, ასევე ერთმა ხმამ გადაწყვიტა. ხელმისაწვდომი ფაქტების მიხედვით მან ფაქტობრივად წააგო არჩევნები რობერტ ემონდსთან ერთი ხმის უპირატესობით.



1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის იბეჭდება ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი.

2. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება პარტიების/საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები (ბლოკის სახელწოდების შემდეგ მითითებული უნდა იყოს მასში გაერთიანებულ პარტიათა სახელწოდებები) დადგენილი რიგითობის შესაბამისად.



3. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში ასარჩევად წარდგენილი ყველა კანდიდატის რიგითი ნომერი, სახელი და გვარი. პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატის გვერდით მიეთითება შესაბამისი პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სახელწოდება, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის გვერდის გასწვრივ მიეთითება „დამოუკიდებელი". კანდიდატის შესახებ მონაცემები საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წილისყრით განსაზღვრული მისი რიგითობის შესაბამისად, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა.

4. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში ამომრჩეველი მონიშნავს არა უმეტეს 1 პარტიის/საარჩევნო ბლოკის რიგით ნომერს.

5. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია მონაცემები კანდიდატების შესახებ, ამომრჩეველი მონიშნავს არა უმეტეს 1 კანდიდატის რიგით ნომერს.

ცესკო

ფოთის ახალგაზრდული ალიანსი

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

# სერთიფიკატი

„ფოთის ახალგაზრდული ალიანსი"

ეძლევა ____________________

მასზედ, რომ გაიარა

საარჩევნო თემატიკის ტრენინგი

თარიღი

პროექტის ხელმძღვანელი

გიორგი ღალანძე

ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ფოთის ახალგაზრდული ალიანსი

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

# სატრენინგო მასალა

2017


ცესკო

# გამოწვევები და შედეგები

- ტრენინგზე მონაწილეებთან ერთად დაიგეგმა მსვლელობები და კარდაკარ შეხვედრები დევნილთა დასახლებებში, ასევე შეიქმნა საინფორმაციო ფლაერი ტრენინგის მონაწილეთა სურათით.
  7-12 აგვისტოს ჩათვლით 5 მსვლელობა (შეხვედრა) მოვაწყვეთ ფოთის დევნილთა დასახლებაში. პროექტისათვის სპეციალურად შექმნილი მაისურებით ვურიგებდით მოსახლეობას ფლაერებს და მოვუწოდებდით მოსულიყვნენ არჩევნებზე, ასევე ვავსებდით ე.წ. ,,სამახსოვრო წიგნს", სადაც პირობას ვადებინებდით, რომ აუცილებლად მოვლენ არჩევნებზე.
  ანალოგიური ფორმატის შეხვედრები (სულ 3 შეხვედრა) გავმართეთ 19-24 აგვისტოს, ბათუმის დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში. ამასთან ერთად გადავიღეთ და ორგანიზაციის ფეისბუქის გვერდზე განვათავსეთ სამოყვარულო ვიდეო და სადაც მოხალისეები ეხმაურებიან ჩვენს აქციას „მე მივდივარ არჩევნებზე, შემოგვიერთდი!".

# შეხვედრები



# შეხვედრები



# შეხვედრები



# შეხვედრები



# შეხვედრები



# შეჯამება

- საერთო ჯამში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში ჩვენ შევხვდით, ფლაერები დავურიგეთ და გავესაუბრეთ 800-ზე მეტ ადამიანს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ღონისძიებები მოიტანს მაქსიმალურ შედეგს – გაზრდის მათ დაინტერესებას და ჩართულობას არჩევნებზე, ვიდრე ეს გასულ არჩევნებზე.

მადლობა ყურადღებისთვის

☺